ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N22

19.05.2023 წელი
11:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 21 თებერვალს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ვაკის რაიონის გამგებელი **დავით კვინიკაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე **მარიამ კვერნაძე** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის საელჩო საქართველოში შორის ,,ქ. თბილისი, ატენის ქ. N16-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთი, აფხაზეთის ქ. N23-ში ორი კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობის შესახებ" საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032312440-03, 04.05.2023წ.)*,
მომხსენებელი - დავით კვინიკაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებელი.
2. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032313081-03, 10.05.2023წ.)*,
მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

3. **„ქ.თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: N01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032311723-03, 27.04.2023წ.),*

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე.

4. **„ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N49-ში მდებარე 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.06.001.299) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი #12-0323137108-03, 17.05.2023წ.),*

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე.

5. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი #12-032313796-03 17.05.2023),*

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე განკარგულების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებელმა წარუდგინა.

დავით კირკიტაძე - მოგესალმებით, აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად ჩინეთის საელჩო, გრანტის სახით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს, გადასცემს ფულად სახსრებს 350,000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ჩინური იუანის ექვივალენტს ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადარიცხვის დღეს არსებული კურსით. თანხა განკუთვნილია ქ.თბილისი, ატენის ქ. N16- ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთში, აფხაზეთის ქ. N23-ში, ტყე-პარკის ტერიტორიაზე, 2 (ორი) კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობისთვის. გრანტის თანხის გადარიცხვა მოხდება ერთჯერადად. მისი გამოყენება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად არის შესაძლებელი.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის საელჩო საქართველოში შორის ,,ქ. თბილისი, ატენის ქ. N16-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთი, აფხაზეთის ქ. N23-ში ორი კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობის შესახებ'' საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე" საკითხი,

მომხრე - გივი ჩხარტიშვილი, გურამ ოქროპირიძე, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის საელჩო საქართველოში შორის ,,ქ. თბილისი, ატენის ქ. N16-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთი, აფხაზეთის ქ. N23-ში ორი კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობის შესახებ'' საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება გრანტების ნაწილში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები 150,0 ათასი ლარით, მათ შორის ჩინეთის საელჩოსთან გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ორი ერთეული ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობა - 130,0 ათასი ლარი, ხოლო ევროპის საბჭოსთან გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტის - „ინფორმაციის საჯარო სერვისებზე და პროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდას თბილისის მუნიციპალურ სამსახურებში" განხორციელების მიზნით - 20,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისთვის - 3 700,0 ათასი ლარით, სანქციებიდან მისაღები შემოსავლები - 22 764,6 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 26 614,6 ათასი ლარით და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს.

ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგ პრიორიტეტებზე ნაწილდება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - 9 723,0 ათასი ლარი, ეკოლოგიურ მდგომარეობის შენარჩუნებაზე - 4 365,0 ათასი ლარი, ბემეა - 1 356,0 ათასი ლარი, ჯანდაცვა და სოციალური - 1 880,0 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო პროგრამის ასიგნება - 346,2 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო - 4 966,1 ათასი ლარი. სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, სპორტული ღონისძიებები - 1 500,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია - 1 000,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა - 700,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 200,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში - 18,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში - 40,0 ათასი ლარი, ასევე პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა - 600,0 ათასი ლარი. წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს ემატებათ 5 342,0 ათასი ლარი, საიდანაც 4 200,0 ათასი ლარი მოხმარდება თბილისის ტერიტორიაზე ცალკეული არეალების სისტემური რეგისტრაციის განხორციელებას. მიმდინარეობს მოლაპარაკება, სავარაუდოდ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრი განახორციელებს აღნიშნულ მომსახურეობას.

აზრი გამოთქვეს:

გივი ჩხარტიშვილი - მისასალმებელია სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით 3 400,0 ათასი ლარით მატება, რომელიც მოხმარდება სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, ჩვენი სამსახურის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპებს, ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებების განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი,

მომხრე - გივი ჩხარტიშვილი, გურამ ოქროპირიძე, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

მარიამ კვერნაძე - პროექტის თანახმად საქართველოს რაგბის კავშირს პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცემა ვაზისუბნის IVმ/რ ტერიტორიაზე მდებარე 1 2300 კმ მიწის ნაკვეთი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მისამართზე მოწყობილია რაგბის ბაზა, სადაც რაგბის კლუბი არმაზი ვარჯიშობს. პრივატიზებული ქონების გამოყენება მოხდება მიზნობრივად სპორტული პროფილით, მოზარდთა და ბავშვთა რაგბის განვითარებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: N01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გივი ჩხარტიშვილი, გურამ ოქროპირიძე, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: N01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი, ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N49-ში მდებარე მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

მარიამ კვერნაძე - პროექტის თანახმად, საქართველოს რაგბის კავშირს პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცემა ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N49-ში მდებარე 19 226 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. აღსანიშნავია, რომ ქონება გასხვისებული იყო კერძო მესაკუთრეზე, ხოლო მუნიციპალიტეტმა მოახდინა მისი დაბრუნება. რაგბის კავშირი იღებს პასუხისმგებლობას, ტერიტორიაზე მოაწყოს გამართული სარაგბო ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოყენებული იქნება სავარჯიშოდ და რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების გასამართად.

აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ცინცაძე - აღნიშნული ქონება ოდითგანვე იყო რაგბის მოედანი, რომელიც გადაეცემა საქართველოს რაგბის კავშირს, აღსანიშნავია, რომ, სპორტული ობიექტი წინა მთავრობის დროს გასხვისებული იყო კერძო მესაკუთრეზე. ჩვენი მიზანია სპორტის პოპულარიზაცია, გვსურს მომავალი თაობები გვყავდეს ჯანსაღი ცხოვრების წესის მატარებელი.

გივი ჩხარტიშვილი - ვეთანხმები ბატონ ავთოს, სამართლიანობა მოითხოვდა ქონების რაგბის კავშირისთვის დაბრუნებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N49-ში მდებარე 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.06.001.299) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გივი ჩხარტიშვილი, გურამ ოქროპირიძე, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N49-ში მდებარე 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.06.001.299) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

მარიამ კვერნაძე - აღნიშნულ ტერიტორიაზე კერძოდ ნუცუბიძის IV მიკრო რაიონში მოწყობილია თანამედროვე სპორტული კომპლექსი, ქონება 2019 წელს გადაეცა ფეხბურთის ფედერაციას, მათ რეალურად მშენებლობა ვადებში განახორციელეს, თუმცა ტერიტორიას სადაც საფეხბურთო კომპლექსი აშენდა დაჭირდათ გარკვეული ცვლილებების ნებართვა პროექტში, რაც შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას მოითხოვდა გარკვეულ დროს, რის გამოც დაირღვა ექსპლუატაციაში მიღების ვადები. დღეის მდგომარეობით, ფედერაციის მხრიდან ვალდებულებები შესრულებულია და ხარვეზები აღმოფხვრილია. პროექტი ექსპლუატაციაში მიღებულია. ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე დარიცხული 44,400 ლარი, ზემოთ ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით ფედერაცია თავისუფლდება პირგასამტეხლოსგან.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხი,

მომხრე - გივი ჩხარტიშვილი, გურამ ოქროპირიძე, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **გივი ჩხარტიშვილმა** კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია პროექტ **„სასკოლო ლიგა 2023"-ს** მიმდინარეობის შესახებ, რომელიც წელს სპორტის ათ სახეობაში იმართება, მასში 250-მდე საჯარო და კერძო სკოლის 5000-მდე მოსწავლეა ჩართული, რომელიც თბილისის გარდა ქვემო ქართლის და აჭარის რეგიონებს მოიცავს.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის სამდივნოს სთხოვა პროექტს, დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერისთვის ადგილზე გაუწიონ საჭირო ხელშეწყობა, გაშუქების და სხვა ტექნიკური მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გივი ჩხარტიშვილი